

## სოლალაშვილთა სათავადოს ისტორიისათვის

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული საბუთების №1450 ფონდში არის საქართველოს უმაღლესი მმართველობის ბრძანებით მოსახლეობის მიერ წარმოდგენილი საბუთების ასლები ანუ პირები. ფონდი შედგება 57 დავთრისაგან (რომლებსაც ზოგჯერ წიგნებს უწოდებენ). მათში შეტანილია 1401 – XIX საუკუნის დასაწყისში შექმნილი 11487 საბუთის პირი. თითოეულს ერთვის სარეგისტრაციო ტექსტი, საიდანაც ირკვევა, რომ რეგისტრაციის წესი დაუდგენიათ ერმოლოვის მმართველობის პერიოდში, 1817 წელს. დედანთან პირის დამოკიდებულება, უკეთ, პირის სიზუსტე დამონმებულია მოხელეთა ხელმოწერით (მშვიდობაძე 1987: 148-165).

№1450 ფონდის 57-ე დავთარში შეტანილია 93 ქართული, სპარსული და თურქული დოკუმენტი, რომელთაგან 10 ერთეული ოსმალო სულთნების მიერ 1564-1616 წლებში გაცემული სიგელებია. ასლებს დედნები არ დაეძებნა, ამიტომაც მათ დედნის მნიშვნელობა აქვთ.

10 ერთეულიდან – 9 „პუქში შიქაჟეთია“, ანუ სასულთნოს მაღალ კარზე გაგზავნილი საჩივრის პასუხად გამოცემული ბრძანებულებები. საბუთები გაცემულია სომხეთში სარწყავი წყლისა და სახნავი მიწების უკანონოდ გამოყენების გამო ატეხილი დავის აღსაკეთად. მხოლოდ ერთი სიგელი – №58 ეხება საქართველოს. ესაა 1616 წელს სულთან აჰმედ I-ის მიერ საბარათიანოში ქრისტიანი შალვა სოლალაშვილისათვის საგვარეულოს მემკვიდრეობითი მამულის, იურთლუკისა და ოჯაკლიკის წესით, ბოძების სიგელის პირი.

სოლალაშვილის საბუთის დედნიდან ზუსტი ასლი გადაულია ვინმე მირზა მეჰმედ ალაღარს. მინაწერით იგი ირანელი ჩანს. ბერათი გადანერილია მოხდენილი დივანისებური გაშლილი ნასხით (ჩვეულებრივ ბერათები ინერებოდა სხვადასხვა ტიპის დივანით), მაგრამ კოპისტს უჭირს სიაკათის ხელით ჩანერილი ტოპონიმების გადმოტანა, რაც გასაგებია. სიაკათი არის ოსმალეთში სავანგებოდ საფინანსო დოკუმენტების შედგენისას გამოყენებული კრიპტოგრაფული ხელი, რომლის საფუძველი არაბიკაა დიაკრიტიკული ნიშნების გარეშე. მაგრამ უცნაურია, რომ არსად არ გადმოაქვს რიცხვითი ნიშნები, არ აფიქსირებს თითოეული სოფლის შემოსავალს, და შესაბამისად, არ უთითებს საერთო ჯამს, არადა, რიცხობრივი მონაცემების გარეშე დედნის არსებობა სრულიად წარმოუდგენელია. ცხადია, დედანში „დივან-რაჰკამლარი“ არ იქნებოდა, რომ გადამწერს მისი ნაკითხვა ვერ შეძლებოდა.

ოჯაკლიკის ნესით ბოძებული 10 გეოგრაფიული პუნქტიდან 3 მხოლოდ სწორი ხაზითაა აღნიშნული, ეჭვს არ უნდა იწვევდეს 6 ერთეულის იდენტიფიცირება, ერთი კი სავარაუდოა. ესენია: მულქი თვითონ თბილისში, სოფელი კუმისი, სოფ. ლოუბანი, სოფ. მონასტერი, მიწები სოფ. ასურეთისა და სოფ. ჭაპალა, დაცლილი და აოხრებული სოფ. ტაგნაგეთი, რომელიც მაგნაგეთის სახითაა ჩანერილი. მაშინ როდესაც 1558 წ. საბუთში – ხეც Sd 734 სოლალაშვილთა კუთვნილი მამულებიდან ნასოფლარად იხსენიება სოფ. მასრუტი.

ოსმალურ მინათმფლობელობისა და მინათსარგებლობის რეჟიმში ზერელედ ჩახედული პირისათვისაც კი დამაეჭვებელი იქნებოდა საბარათიანოში 1616 წელს სახასო მამულის ბოძების ბერათის გაცემის ფაქტი. ამ დროს ხომ ოსმალთა ქართლში, რომელსაც საბარათიანო ექვემდებარებოდა, აღვივლია და ქვეყნის ოფიციალური გამგებელი არის შაჰის მოხელე, დაუთხანის ძე გამაჰმადიანებული ბაგრატი VII (1615-1619 წწ.), რომელსაც ქართველები დაცინვით „საბარათიანოს ბატონს“ უწოდებენ, რადგან მისი მეფობრივი უფლებები საბარათიანოს არ სცილდებოდა“ (ჯამბურია 1973: 274). ფაქტობრივად ქართლს კახეთთან ერთად მართავს თეიმურაზ I. ასეთ ვითარებაში საბარათიანოს ემირთავან ერთს – ქრისტიან შალვა იესეს ძე სოლალაშვილს „ნამუსგარეცხილი“ სპარსელებისათვის ზურგი უქცევია (სავარაუდოა, რომ ადრე მათ სამსახურში იდგა) და მთელი არსებით ჩაბმულა სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი მხარში ამოსდგომია ზაგემის მეფე თეიმურაზს და ყველა იმათი მეგობარი, გამზდარა, ვინც ირანს ებრძოდა.

ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში სოლალაშვილთა საგვარეულოში საბუთო შალვა ჰქვია შვიდ პირს, ოსმალური დოკუმენტის შალვა არის იესეს ძე. იესე ჰქვია სოლალაშვილს (სურგულაძე... 2007: 179-185). ქრონოლოგიურ მონაცემებით, ოსმალური სიგელის ადრესატი შეიძლება იყოს იმ იესეს შვილი, რომელიც მოხსენიებულია 1558 წ. გაცემულ ნასყიდობის წიგნში (ხეც, Sd 734).

იმ ხანებში სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლაში მეფე თეიმურაზს მოკავშირედ და დამხმარედ ოსმალეთი მიაჩნდა. მან „ნარავლინა კაცი წინაშე ხონთქარისა სტამბოლს და ითხოვა სადგური და შეწვენა მისგან“. სულთანმა „აღუთქვა შუელა და მწე-ყოფა“. „მოგბოძა გონია და ახალციხის გარემოს რომელნიმე დაბნები“. ამისი მცნობი თეიმურაზს ნარვიდა ახალციხეს მოცემულთა დაბნებთა შინა (ვახუშტი 1973:510). 1616 წელს თეიმურაზს სულთანთან და ყირიმის ხანთან ილუმენი ხარტონი გაუგზავნია დახმარების თხოვნით (სვანიძე 2007: 97-110). სულთნის მითითებით მანუჩარ ათაბაგმა თეიმურაზსა და მის ოჯახს ჯერ გონიო მისცა დროებით გასაჩერებლად, 1619 წელს კი, როცა თეიმურაზი სტამბოლს ეახლა სულთანს (700 კაცის თანხლებით), მისი ოჯახი ოლთისში დადგა (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 589). ასეთ ვითარებაში ჩილდირის ბეგლარბეგმა, ოსმალური სიგელით ჰუსეინმა – იზრუნა, რათა საბარათიანოს ერთ ემირს, სპარსელების მტერსა და თეიმურაზის ერთგულ თანამებრძოლს სულთნისაგან მიეღო მამულის ბოძების სიგელი. იურიდიულად ამის საფუძველი იქნებოდა ის ფაქტი, რომ ძალაში იყო სულთან აჰმედ I-ის მიერ 1604 წლის აპრილში გამოცემული ბრძანებულება, რომლითაც ჩილდირის ეიალეთს, გაძლიერების მიზნით, შეუერთდა ქვემო აჭარა, კოლა, თრიალეთი, შავშეთი, იმერხევი და ფანაკი (Kütükoğlu 1993: 225). თრიალეთის ნაწილი VI ს-დან შედიოდა ქვემო

ქართლში (ბერძენიშვილი 1979; ლორთქიფანიძე 1935, 1938; მელიქსეთბეგი 1934; ჯამბურია 1955). სოლალაშვილთა საგვარეულოს სოფლების უმრავლესობა ალგეთის ხეობაში და სკვირეთში მდებარეობდა: ტაბახმელა, შინდისი, ტაგნაგეთი, სალორისი, კუმისი, ლოუბანი, კაბენი, საყალტუნი, ასურეთი, მონასტერი, ჭაპალა, სოლალაშვილებს მამულები ჰქონდათ თბილისში, კავთისხევსა და ახალციხეში. ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტსაც, რომ ქრისტიანი ემირის შალვა სოლალაშვილისათვის მამულის ბოძების თაობაზე ჩილდირის ბეგლარბეგი სულთანს მიმართავს არა ნერილით, როგორც წესი იყო „ჩემს ბედნიერების კარიბჭეში წერილი გამოგზავნა და გვთხოვა, რომ...“ არამედ აგზავნის „სადაო საქმეთა განსჯის დავთარს“ (Devclioğlu 1962) – თანაც აგზავნის არა სულთნის კარზე, არამედ უავგუსტოეს საფადიშაპო ლაშქარში. სადაო საქმეების გადანყვეტილებათა დავთარში ჩანს, ყველაფერი ისე იყო მოწოდებული, რომ სულთნის სახელით სიგელი გაიცა. სამწუხაროდ, კოპისტის საბუთის გაცემის ადგილიც არ გადაუწერია, რაც სიგელს საბუთიანობას შეჰმატებდა.

ვინ იყვნენ სოლალაშვილები, რომელთაც საბარათიანოში ასეთი სოციალური მდგომარეობა ჰქონდათ.

იოანე ბაგრატიონი ნაშრომში „შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“ (იოანე ბატონიშვილი 1977: 35), ოცდამეათე პარაგრაფში სათაურით „თავადი სოლალაშვილი“ წერს: „ესენი არიან ძველადვე ახალციხელნი კალმახის ადგილის ერისთავის გვარისანი. ამათი წინაპარი ვინმე გათათრდა და უწოდეს სოლალად, ხოლო ამის შთამომავლობისანი, რომელთაც მიიღეს მაჰმადიანობა, მოვიდნენ საქართველოსა შინა მეფობასა ბაგრატიანთა ნელსა 1375-სა და მეფემან მიიღო თავადობის ხარისხითა და უბოძა გვარადცა სოლალაშვილობა და არიან მუნიდგან მცხოვრებნი სომხითსა, რომელნიმე გარდმოვიდნენ რუსეთს და დაშთნენ, ხოლო სხვანი ამათნი დაშთნენ ქართლსავე შინა და ან არიან: 1) იესეს შვილები, 2) ზაზას შვილები და სხვანი ძმანნი ამათნი, ხოლო სხვანი სოლალაშვილები, რომელნიცა არიან თათრად, ჰსცხოვრობენ ახალციხის ნანილსა შინა ჩირდილის კერძო ადგილსა“. ახალციხეში არის მიკროტოპონიმი „სოლალას უბანი“. ასე ჰქვია ციხის დასავლეთ მხარეზე, ხეუმი მდებარე აბანოს ნანგრევებს (ბერიძე 2005: 315-322).

უცნობია რას ეყრდნობა ბატონიშვილი და რამდენად სარწმუნოა მისი ინფორმაცია. მაინც მივყვეთ ფიქსირებულ მონაცემებს: XV-XVI საუკუნეების კალმახისა და კალმახელთა საერისთავოს შესახებ სანიშნურო ნაშრომების ავტორი დ. კლდიაშვილი, როცა იხილავს ართვინის სახარებას და მასზე დართულ სულთა მატრიანეს (კლდიაშვილი 2008: 249-278), გამოთქვამს ვარაუდს, რომ კალმახში დასმულ იქნა ჯაყელ ციხისჯვარელთა ოჯახის განშტოების წარმომადგენელი XIV საუკუნის დასაწყისში. ბოლო ცნობა კი კალმახელთა ადგილას მჯდომი საგვარეულოს შესახებ XVI საუკუნის 40-იან წლებს განეკუთვნება. იხსენიება ვინმე უზუნისშვილი (კლდიაშვილი 2008: 268), გვარი თურქული წარმომავლობისაა: უზუნ=გრძელი, უზუნიშვილი=გრძელი-შვილი|გრძელიძე, ხოლო სოლოლაშვილი||სოლალაშვილები კალმახის საერისთავოში არ ჩანან.

სწორია იოანე ბაგრატიონი, როცა სოლალაშვილთა გვარს მათი წინაპრების „გათათრებას“ ანუ გამაჰმადიანება-გათურქებას უკავშირებს და „სოლალა“ ძირიდან მომდინარედ მიიჩნევს. სოლალა<თურქ. solak „საქმის მარცხენა ხელით მკეთებელი“, „ცაცია“. სოლაკ (solak) ეწოდებოდა ფადიშაჰის პირად მცველს, რომელიც ფადიშაჰის ცხენის მარცხენა მხარეს იდგა (ჯიქია 2007: 262).

სხვაგან ვერ დავადასტურებ ცნობა იმის შესახებ, რომ გამაჰმადიანებული სოლოლაშვილები საქართველოში მოვიდნენ ერთიანი საქართველოს მეფის ბაგრატ V-ის (1360-1393 წწ.) დროს და 1375 წელს მიიღეს თავადობის ხარისხი სოლალაშვილის გვარიით. ისინი რომ, მართლაც, ქვემო ქართლში დამკვიდრებულან, ამაზე მიუთითებს XV-XIX საუკუნეების რამდენიმე ნარატიული და უამრავი დოკუმენტური წყარო. 1487-89 წლებში თურქმანთა შემოსევების დროს, ურიცხვი მტრის მოგერიების საქმეში ავლენენ გამჭრიახობას, თავიდან იცილებენ მტერთან პირისპირ შეხვედრას. კოჯრის ციხეში გამომწყვდეულებმა, „თავმათდა რო სოლალაშვილები იდგნენ, დიდი თოვლის მოსვლით ისარგებლეს, ციხე ღამით დატოვეს და თეთრბატკინანებს ცარიელი ციხე დაახვედრეს. (ბერი ეგნატაშვილი 1959: 344; ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 389) მერე კი, როცა თურქმანები ხალილ ბეგის მეთაურობით სომხით-საბარათიანოში ცდილობდნენ გამაგრებას და ციხეების შენებაც კი დაიწყეს, წინააღმდეგობას ადგილობრივი მოსახლეობა უწევდა. მათ ბრძოლას, იცავდნენ რა თავიანთ სამფლობელოს, ბარათიანთა, ჯავახისშვილებისა და სოლალაშვილების საგვარეულოები მეთაურობდნენ (ჯავახიშვილი 1952: 370).

ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში სოლალაშვილთა გვარი ჩნდება დავით X (1505-1525) მიერ გაცემულ საბუთებში, სავარაუდოდ 1505 წლიდან, დაბეჯითებით კი 1512 წლიდან (სურგულაძე... 2007). შალვა სოლალაშვილი ლუარსაბ მეფესთან ერთად იღებს მონაწილეობას ბარათაშვილების გაყრაში 1523-1527 და 1558 წლებში (ხეც, Ad 299). სოლოლაშვილთა გვარსახელი არ ჩანს 1536 წლის ბარათიანთა გაყრის ნიგნში, რაც ვეაფიქრებინებს, რომ სასოლოლაშვილო ბარათაშვილთა განმტკიცება კი არა, დამოუკიდებელი სათავადოა, თანაც არცთუ მცირე, საგვარეულო დიდძალ მამულს ფლობს ალგეთში, სომხითსა და სკვირეთში (ლორთქიფანიძე 1935; ლორთქიფანიძე 1938).

„მებატონე“ და „მემამულე“ სოლოლაშვილ||სოლოლაშვილები „ბჭენი და გამრიგენი“, „დარბაისელი მოსამართლენი“ – დავით X-ის სახლთუხუცესი და მნიგნობართუხუცესი, XVII საუკუნეში „სადედოფლონი“ ხდებიან და დედოფლის სახლთუხუცესობა და ემიკაღასბაშობა მათი სამკვიდრო სახელო ხდება (Sd 757, 758). ის ფაქტი, რომ შალვა სოლოლაშვილი იურთლუკისა და ოჯაკლიკის წესით იღებს მემკვიდრეობით მამულს, მანიშნებელია იმისა, რომ იგი მსხვილი ფეოდალი და სათავადოს სახლის უფროსია – ქალაქში ფლობს მულქს, ანუ შეუზღუდავ ქონებას, რომლის მემკვიდრეობით გადაცემა, გაყიდვა ან გაჩუქება სულთნისაგან ნებადართული იყო. იურთლუკი და ოჯაკლიკი ფეოდალის, ემირის მიწის მემკვიდრეობითი მფლობელობაა. იგი არ შეიძლებოდა ჩამორთმეოდა მფლობელს, რადგან იყო საგვარეულო საკუთრება, რომელიც გადადიოდა თაობიდან თაობაზე (გაბაშვილი 1958: 257-259; Твсритинова 1963: 209).

იურთლუქისა და ოჯაკლიკის წესით ოსმალობის ხანაში მამულს ფლობდნენ – სამცხეში გამაჰმადიანებული ათაბაგები (ჯიქია 1960: 161-185), ქართლში მსხვილი ფეოდალები: გივი ამილახვარი (ჯიქია 1965: 243-248; აბულაძე 1973: 294-305), ლუარსაბ თარხნიშვილი (სვანიძე 2005: 229-232), ერასტი ყაფლანიშვილი (აბულაძე 1975: 224-229), დავით აბაშიძე, განსხვავებით საგერმანოზიშვილო, სააბაშიშვილო, საფალავანდისშვილო, საქავთარასშვილო და საგოსტაშაბიშვილოსაგან, რომელთაც „მცირე“ სათავადოებს უწოდებდნენ (დ. ბერძენიშვილი), სასოლალაშვილო თუ მსხვილი ფეოდალური საგვარეულო არა, „შუა თავადები“ ხომ მაინც არიან. ჰყავთ აზნაურები, აქეთ კარის ეკლესია-მონასტერი კაბენი, საგვარეულო სასაფლაო და ციხე ჭაპალა. სოლალაშვილები XVI სსაუკუნეში „გაუყრელ“ თავადებად ჩანან (თუ მასალის სიმცირე არ გვაფიქრებინებს ასე). XVII-XVIII სსაუკუნეებში კი აშკარად „განაყოფი“ სახლებია. ერთმანეთში დავა აქეთ როგორც „განყოფილ“, ისე „შეყრილ“ სახლიკაცებს.

თავადი სოლალაშვილის გვარი შესულია გეორგიევსკის ტრაქტატში, ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა ხიაში – ერისთავისშვილის, ბარათაშვილის და დიასამიძის გვერდით (პაიჭაძე 1983: 87).

დღემდე სარწმუნოდ მეჩვენება იმათი აზრი, რომელნიც, ვახუშტისაგან განსხვავებით, „სოლალაშვილთა არაბარათიანობას იტყვიან“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1973). 1803 წ. იანვრის 4-ით დათარიღებული ფიცის ნიგნში (თაყაიშვილი 1899: 473) „ერთობლივ ბარათიანთა“ შორის იხსენიება მსაჯულთ მოლარეთუხუცესი ზაზა სოლალოვი – საამიშვილის, აბაშოვის, ზურაბისშვილის, გოსტასაბიშვილის, გერმანოზიშვილის, თაყაშვილის, აფხაზის, თურქესტანიშვილის და საგინოვის გვერდით (საბუთზე მიმითითა ბ-ნმა გ. ჯანდიერმა). მაგრამ აქ ფიქსირებულია სადაურობითი ერთობლიობა და არა გენეტიკური.

ქვემო ქართლი – სომხით საბარათიანო ბევრი ცნობილი ისტორიკოსის კვლევის საგანი იყო: იასონ ლორთქიფანიძე (ლორთქიფანიძე 1935; ლორთქიფანიძე 1938), გივი ჯამბურია (ჯამბურია 1955), დავით გვრიტიშვილი (გვრიტიშვილი, 1968), დევი ბერძენიშვილი (ბერძენიშვილი 1979), გ. ჯანდიერი (ჯანდიერი 1991) და სხვ. ყველანი მსჯელობენ საყაფლანიშვილო, საგოსტაშაბიშვილო, საფალავანდიშვილო, სახოსროაშვილო, საქავთარასშვილებო, საიარალისშვილებო, საიოთამაშვილებო სათავადოებზე. არაფინ შეჩერებულა სოლალაშვილთა სათავადოზე. მხოლოდ გ. ჯამბურია წერს, რომ „XV საუკუნეში ქვემო ქართლში საბარათიანო ყალიბდება, რომელიც XVI-XVII საუკუნეების მანძილზე რამდენიმე სათავადოდ დაიშალა. XVIII საუკუნეებში უკვე 9 სათავადო არსებობდა. ამ გვარიდან წარმოშობილი (ქვემო ქართლშივე არსებობდა სათავადო სასოლალაშვილო, მაგრამ ამ სათავადოს ამჟამად არ ვეხებებით)“ (ჯამბურია 1955). ბ-ნი გ. ჯამბურია არც შემდეგ დაბრუნებია სოლალაშვილთა საგვარეულოს, მაგრამ ბარათაშვილთაგან „განყოფილი“ სათავადოების გვერდით სასოლალაშვილო რომ არ წარმოადგინა, იქნებ სოლალაშვილთა „არაბარათიანობას“ ვარაუდობდა.

ვფიქრობ, XV-XIX საუკუნეების ქართულ წერილობით ძეგლებთან ერთად აქ წარმოდგენილი ოსმალური სიგელი, სოლალაშვილთა სათავადოს ისტორიისათვის გასათვალისწინებელი წყაროა.



## مجال طغرا

نشان شریف عالی شان مسلمی مکان سلطانی و طغرای غرای جهان ستان خاقانی [حکمی] اولدر که امیر الامراء الکرام چلدر بکلریکیمی حسین دام اقباله اوردوی همایونمه قضییه دفتری کوندروب براتلی امراسندن صولاق اوغلی دیمکله معروف اولنگ ایچون قزلباش بد معاش طرفندن روگردان اولوب توابع ولواحق ایله نکم حاکمی اولان طهمورث خانک یاننه واروب واقع اولان قزلباش محاربه لرنده کلی خدمتله ریولداشلوقه بولنوب عتبه علیه خسروانمه اطاعات وانقیاده ثابت قدم اولمغله ابا عزجه منصرف اولدوغی براتلی اولکاسی یورتلوق و اوچاقلوق اوزره صولاق اوغلی اولان رافع توفیق رفیع فرخنده فال شهریارى شلوا نئی زیده قدره ویرلمک رجانسه اعلام ایتمکین یورتلوق و اوچاقلوق طریقله مزبوره توجیه اولنماغیچون خمس و عشرون و الف جمادی الاخرینک اوخرنده حکم شریفم ویرلدکن سنکره تذکره سی اخراج اولنوب فرمانم اولمغین نکر اولنن ملک و قراء و مزارع وجه مشروح اوزره یورتلوق و اوچاقلوق طریقله منصرف اولمق اوزره یسه اوغلی منکور شلوا نلم نئی به توجیه اولنوب ویردوم که نکر اولنور و شرح قلنور

نفس تفسده اولان ملکى

قریه کومس

قریه غویان

قریه ماکنکت خلی و خرابه

مزرعه اصرت

قریه منستر

قریه جباله

ویبوردم که بعد الیوم تحت پننده اولوب تصرف قلوب شولکه وظایف خدمات مبروره موفوره و مساعی مشکوره عساکر منصوره بر موجب دفتر خاقانی یورتلق و اوچاقلوق منصرف اوله اولیابده افراد افریده نن هیچ فرد کاینآ من کان بوجه ما کان و سبب من الاسباب مانع و دافع و رافع و منازع اولمیه شویله بلار علامت شریفه اعتماد قلالر

من میرزا محمد اغلر اصل فرمان رانیده از روشن

مطابق الاصل نوشتم

ქვემოთ ქვეყნდება სიგელის ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანითა და ფაქსიმილეთი.

სარეგისტრაციო მინანერი:

С подлинной верно Шахназаров.

1820-<sup>м</sup> года ноября 18-<sup>м</sup> дня сей документ верховного Грузинскаго правительства в экспедиции Суда и расправы явлен и в книгу подлинником под №58 записан в чем экспедиция на основании предложения Г. Главноуправляющаго в Грузии от 12 апреля 1817-<sup>м</sup> года свидетельствует Советник Куницкий. Советник თავადი დიმიტრი თარხანოვი, надсмотрщик Тифлисский.

### თუღრის ადგილი

პატიოსანი, მაღალღირსეული, ზეღმატებული სასულთნო ნიშნისა და ბედნიერი, ქვეყნისმპყრობელი სამეუფეო თუღრის ბრძანება ის არის, რომ კეთილშობილ ემირთა ემირმა, ჩიღდირის ბეგლარბეგმა ჰუსეინმა, ხანგრძლივი იყოს მისი ბედნიერება, ჩემს უავგუსტოეს ლაშქარს სადაო და გადასანყვეტ საქმეთა დავთარი გამოუგზავნა და გვაცნობა: – საბარათიანოს ემირთაგან სოღალაშვილად ცნობილმა უსირცხვილო ყიზილბაშებისაგან პირი იბრუნა და მოვიდა თეიმურაზ ხანთან<sup>1</sup>, რომელიც განაგებდა მასზე დაქვემდებარებულ და მის მფლობელობაში არსებულ ზაგემს<sup>2</sup>. სოღალაშვილი ყიზილბაშების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებას და ამხანაგობას უწევდა ყველას.

რადგანაც იგი ჩემს მაღალ სამეუფეო ზღურბლს მტკიცედ ექვემდებარება და ემორჩილება, [ჩიღდირის ბეგლარბეგმა ჰუსეინმა] გვთხოვა, რომ მიეცეს სოღალაშვილს – ქრისტიან შალვას, იმატოს მისმა ძლიერებამ, მის გამგებლობაში მყოფი საბარათიანოს ოლქი, იურთლუკისა და ოჯაკლიკის წესით, რაზედაც მას ხელთაქვს სეებდნიერი, მაღალი სამეფო სიგელი. იმისათვის, რომ ზემოხსენებულს ებოძოს იურთლუკისა და ოჯაკლიკის წესით 1025 წლის ჯუმად-ალ-ახირეს ბოლოს<sup>3</sup>, ჩემი წმინდა ბრძანების შემდეგ, თეზქერეც უნდა გამოვიდეს და ბრძანებაა ჩემი, რომ ხსენებულ მამულს, სოფლებს და საყანეებს განმარტებულის თანახმად, ოჯაკლიკისა და იურთლუკის წესით ფლობდეს იესეს ძე სოღალაშვილი, ზემოთ მოხსენიებული ქრისტიანი (ზიმი) შალვა, რაც აქვე აღინიშნება და დაწერილებით არის განმარტებული:

თვითონ თბილისში არსებული მულქი, სოფ. კუმისი, სოფ. ლოუბანი, სოფ. ტაგანაგეთი (წერია მაგანაგეთი) ცარიელი და დანგრეული, სოფ. მონასტერი, სოფ. ასურეთის საყანე მიწები, სოფ. ჭაპალა

---

თეიმურაზ I – ვახეთის მეფე 1606–1648 წწ., ქართლ-ვახეთის მეფე 1625–1632 წწ. ზაგემი – ვახეთის სამეფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო პუნქტი XVI საუკუნეში. XVII საუკუნის ოსმალურ და სპარსულ წერილობით წყაროებში თეიმურაზი ზაგემის მეფედ იხსენიება. შდრ. ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვლადიმერ ფუთურაძემ, თბ. 1969. პიჯრა 1025 წ. ჯუმად-ალ-ახერის ბოლო – 1616 წ. ივნისი.

და ვბრძანებ, რომ ამიერიდან მის ხელში იყოს, მის გამგებლობაში იყოს, ისე რომ სამეფო და ძღვევამოსილი ჯარისადმი უხვად კეთილი და სანაქებო სიბეჯითის გამოსაჩენი სამსაურებრივი მოვალეობანი აღასრულოს და მამულს ფლობდეს იურთლუკისა და ოჯაკლიკის წესით. ამ საქმეში ნურც ერთი ქმნილება, ნურც ერთი სულიერი არსება, როგორადაც არ უნდა იყოს და რა მიზეზითაც არ უნდა იყოს, ხელს ნუ შეუშლის, ნუ ჩაერევა და წინააღმდეგობას ნუ გაუწევს. ასე იცოდნენ, წმინდა ნიშანს მიენდონ.

*ფირმანის დედანი ჩაიბარა და მისი ზუსტი ასლი გადმოიღო მირზა მეჰმედ ალაღარმა.*

## ბამოყენებული ლიტერატურა

1. აბულაძე 1973: აბულაძე ც., ოსმალობის ხანის სამი თურქული ფირმანი, „აღმოსავლური ფილოლოგია“ III, თბ., 1973.
2. აბულაძე 1975: აბულაძე ც., ორი ფირმანი ერასტი მდივანბეგს, „მრავალთავი“ IV, თბ., 1975.
3. ბერი ეგნატაშვილი 1959: ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959.
4. ბერიძე 2005: ბერიძე მ., ახალციხისა და რაბათის ისტორიული ტოპონიმისათვის, „მესხეთი“, VI-VII, თბ., 2005.
5. ბერძენიშვილი 1979: ბერძენიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, ნაკ. I, თბ., 1979.
6. გაბაშვილი 1958: გაბაშვილი ვ., ქართული ფეოდალური ნყობილება XVI-XVII სს., თბ., 1958.
7. გვრიტიშვილი 1968: გვრიტიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ნ. II, თბ., 1968.
8. ვახუშტი ბატონიშვილი 1973: ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.
9. თაყაიშვილი 1899: თაყაიშვილი ე., საქართველოს სიძველენი, I, თბ., 1899.
10. იოანე ბატონიშვილი 1977: იოანე ბატონიშვილი, შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, თბ., 1977.
11. კლდიაშვილი 2008: კლდიაშვილი დ., სოლომონისი (კალმანის ლოკალიზაციისათვის), „ანალები“ – ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი, თბ., 2008.
12. ლორთქიფანიძე 1935: ლორთქიფანიძე ი., ქვემო ქართლი, ნან. I-II, თბ., 1935.
13. ლორთქიფანიძე 1938: ლორთქიფანიძე ი., ქვემო ქართლი, ნან. III-IV, თბ., 1938.
14. მელიქსეთ-ბეგი 1934: მელიქსეთ-ბეგი ლ., თრიალეთ-ნალკის მატერიალური კულტურის ნაშთებისა და ტოპონიმის შესწავლისათვის – „მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის“, თბ., 1934.
15. მშვიდლობაძე 1987: მშვიდლობაძე ნ., ქართული საისტორიო საბუთების კატალოგიზაციისათვის, „მრავალთავი“, XVI, თბ., 1987.

16. პაიჭაძე 1983: პაიჭაძე გ., გეორგიევსკის ტრაქტატი, 1783 წლის ხელშეკრულება, თბ., 1983.
17. სვანიძე 2005: სვანიძე მ., სულთან მაჰმუდ I-ის ფირმანი ლუარსაბ თარხნიშვილს, ახლო აღმოსავლეთი და საქართველო 4, თბ., 2005.
18. სვანიძე 2007: სვანიძე მ., 1619-1623 წლებში თეიმურაზ I-ის ელჩობა სტამბოლში, ქართული დიპლომატია 13, თბ., 2007.
19. სურგულაძე... 2007: სურგულაძე მ., კლდიაშვილი დ., პირთა ანოტირებული ლექსიკონი, IV, თბ., 2007
20. ჯავახიშვილი 1952: ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1952.
21. ჯამბურია 1955: ჯამბურია გ., ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (სომხით-საბარათიანოს სათავადოები), თბ., 1955.
22. ჯამბურია 1973: ჯამბურია გ., შაჰაბასის შემოსევები საქართველოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები IV, თბ., 1973.
23. ჯანდიერი 1991: ჯანდიერი გ., ბარათაშვილთა ფეოდალური სახლის საგვარეულო განმტობებათა შესახებ, მრავალთავი XVI, თბ., 1991.
24. ჯიქია 2007: ჯიქია მ., სოციალური და ნოდება-თანამდებობის თურქული წარმომავლობის ტერმინები ქართველურ ანთროპონიმში, ქართული ონომასტიკონი, III, თბ., 2007.
25. ჯიქია 1960: ჯიქია ს., მე-18 საუკუნის დოკუმენტი ოქროს ციხის შესახებ, თსუ-ს შრომები, 91, თბ., 1960.
26. ჯიქია 1965: ჯიქია ს., ერთი თურქული საბუთი ცხინვალის შესახებ, თსუ-ს შრომები, 116, თბ., 1965.
27. Тверитинова 1963: Тверитинова А. С., Аграрный строй османской империи XV-XVII вв., М., 1963.
28. Devellioğlu 1962: Devellioğlu, Osmanlıca-Türkçe Ansiklopedik Lügat, Ankara, 1962.
29. Kütükoğlu 1993: Kütükoğlu B., Osmanlı-Iran Siyasi Münasebetleri (1578-1612), İstanbul, 1993.

**Tsisana Abuladze**

## **THE HISTORY OF THE SOLAGHASHVILI SEIGNEURY**

### **SUMMARY**

The Ottoman text of the deed with the Georgian translation, issued by Sultan Ahmed I in 1616, is on granting the hereditary estate to the Christian Shalva Solaghashvili.

Based on the document the present article substantiates the fact regarding the existence of the big independent seignery Sasolghashvilo in Kvemo Kartli.